თბილისი, საქართველო
გ.ამილახვრის ქ. 15, 0109
15 G. Amilakhvari st. 0109
Tbilisi, Georgia

office@aptos.ge
995 32 2920371
202353602
www.aptos.global

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

განმცხადებელი: შპს „აპტოს“ (ს.კ. 202353602)

მოგესალმებით,

თქვენი 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების (№ 5801787) საპასუხოდ, გთხოვთ, იხილოთ ქვემოთ მოცემული დასაბუთება თუ რატომ არ უნდა იქნას მიჩნეული წარმოდგენილი კონსტრუქცია სარეკლამო საქმიანობად:

კონსტრუქცია მიზანია აღნიშნოს, რომ მოცემულ ტერიტორიაზე განთავსებულია შპს „აპტოს“-ის მზის ელექტრო სადგური.

შესაბამისად, წარწერა/კონსტრუქცია არ შეიძლება ჩაითვალოს რეკლამად, რადგან ის არ არის დაშორებული კონკრეტული ობიექტიდან 1,5 მეტრზე მეტით.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) ოფისზე ნებისმიერი ფორმით (აბრა, სტენდი და ა.შ.) განთავსებული ნებისმიერი ზომის წარწერა, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ოფისში არის განთავსებული ესა თუ ის ობიექტი, სავაჭრო ფირმა, რესტორანი და ა.შ. არ შეიძლება ჩაითვალოს რეკლამად, თუ ის არ არის დაშორებული ამ კონკრეტული ობიექტიდან 1,5 მეტრით მაინც.

როგორც მოგეხსენებათ, კომპანია წარმოდგენს ეკონომიკურ აგენტს, რადგანც იგი საქმიანობას ეწევა არა ერთი მიმართულებით. მათ შორისაა ალტერნატიული განახლებადი ენერგიის წარმოქმნისა და გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რაც მეტად მნიშვნელოვანი და საჭიროა როგორც ეკოლოგიური მდგომარეობისათვის, ასევე ენერგოდამოუკიდებლობის მიმართულებით. ასევე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თბილისის მასშტაბით მსგავსი სიდიდისა და სიმძლავრის მზის ელექტროსადგური არ არსებობს.

როგორც აღინიშნა, კონსტრუქციის განთავსებისათვის მითითებული ტერიტორია წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას და მისივე ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადგილს. აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით № 5739198 მიმდინარეობს V კატეგორიის მზის ელექტროსადგურის მშენებლობა. იმისათვის, რომ აღინიშნოს ამ ნაკვეთზე დაწყებული საქმიანობის შესახებ, კომპანიამ გადაწყვიტა განეთავსებინა ატვირთული ფაილებში მოცემული კონსტრუქცია. შესაბამისად, წარწერა და კონსტრუქცია აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ამ ტერიტორიაზე არის განთავსებული მზის ელექტრო სადგური.

აქვე განგიმარტავთ, რომ წარწერა/კონსტრუქცია მდებარეობს ზუსტად იმ ობიექტზე, სადაც ხორციელდება დასახელებული საქმიანობა და არაა არც ერთი მეტრით დაშორებული მისგან.

შესაბამისად, აღნიშნული კონსტრუქციის ფუნქციას და დანიშნულებას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის, შპს „აპტოს"-ის მიერ საკუთარ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მზის ელექტროსადგურის მიმანიშნებელ წარწერას.

დამატებით, პრაქტიკის სახით, გთხოვთ იხილოთ საქართველოს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №2ბ/1545-11, სადაც, განიმარტა რომ ეკონომიკური აგენტის საქმიანობის ადგილზე განთავსებული აბრა არ შეიძლება მიჩნეულიყო სარეკლამო საქმიანობად და შესაბამისად, არ არსებობს მისი სახელმწიფო ენაზე შესრულების კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულება.

აღნიშნულის საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ წარწერა/კონსტრუქცია, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა ჩაითვალოს სარეკლამო საქმიანობად და შესაბამისად, არ უნდა არსებობდეს მისი ქართული ასოებით ტრანსლიტერაციის ვალდებულება.

პატივისცემით,

შპს „აპტოს"

დირექტორი

გიორგი სულამანიძე

15.02.2022